ახალი განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

15-28 ივნისი 2015 წელი №11 №8093 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრძოვებდ, ინახავდ რეპორტაჟებ, ინტერვიუებ, ხანდ ვინ უხლიდ ყვითელ ფრიდცვ, ჭმნიდ ჩვენი ცხოვრებიდ შეფოლთმეზებელ მეცინდ ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახლით ჩვენი მკითხველი

შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი თელადგორისა და ხოვლის მოსახლეობას შეხვდა

გვ2.

ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი - "ნიქოზი 2015"

გვ2.

საზეიმო მარათონის მონაწილე დიდები და პატარები

გვ3.

კასპი-ახალქალაქი-ნოსტე--მთიულთუბნის ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე

გვ2.

საქართველოს ისტორიული სახლვრების შესახებ

გვ4.

ისტორიული ფაქტების ჯვალდაჯვალ

გვ6.

ხორციელდება გზის კეთილმოწყობა

გვ2.

სასმელი წყლის მაგისტრალის ამოსაცვლელი თანხა გამოყოფილია

გვ2.

ანსამბლ „ხხვილოს„ წარმატება

გვ3.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე

გვ6.

ზეთხოლიან ვრცლადგენი ლაიწყო! ვაშაა!

გვ7.

ტაინდები, ლოტდები და გტძელ კულტურიანი ასულები

გვ7.

გვ7.

„ახალი განთიადი„ იძიებს ცაინტერესებთ ბურთიებს რეპორტიან ცაგაზეთი ფოტომაფიანან შეცაჭმნილია. თხოვნით მიგმართავთ თანარეპორტიორებს - ლაფოვეთ თჭვენი ყველა ჩვენს მაფიანებში! გამოგვიგზავნეთ ცაინტერესებთ ლა ცახალიცთ ფოტოები!

გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!

შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი თელადგორისა და ხოვლის მოსახლეობას შეხვდა

შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი სოფელ თელადგორისა და ხოვლის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს სოფელში არსებულ პრობლემებსა და მისი მოგვარების საშუალებებზე. ორივე სოფელში ძირითადი პრობლემა სასმელი და სარწყავი წყალია. ზურაბ რუსიშვილმა თელადგორის მოსახლეობას დახმარება აღუთქვა სასმელი წყლის პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალისტების მიერ დებეტის არსებობის შესწავლის საქმეში. დებეტის არსებობის შემთხვევაში რეალური საქმის დაწყება უკვე შესაძლებელი იქნება.

მხარის გუბერნატორმა სოფელ ხოვლეში დიდი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა. 2016 წელს აკადემიკოსის დაბადებიდან 140 წელი სრულდება. დაგეგმილია სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილზე უკვე იმყოფებოდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები, რომლებიც სამუშაოთა მოცულობების აღწერას ატარებდნენ.

ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი - "ნიქოზი 2015"

გამყოფი ხაზისპირა სოფელ ზემო ნიქოზში, პირველად ჩატარდა ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი - "ნიქოზი 2015". ფესტივალი 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა და ნიქოზის საკათედრო ტაძარში გაიხსნა, ხოლო ღონისძიება სკოლის ეზოში ჩატარდა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის ანსამბლები და გუნდები, ასევე საქართველოს რეგიონებში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ახალდაარსებული სალოტბარო სკოლები, მათ შორის კასპის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები.

კასპის სალოტბარო სკოლის გუნდს ფესტივალის მონაწილის დიპლომი გადაეცა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი.

ფესტივალის ორგანიზატორები: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, გორის მუნიციპალიტეტი, ფონდი "ქართული გალობა", კომპანია "კასტელ-ჯორჯია," კომპანია "ბორჯომი" და "დუგლაძეების ღვინის კომპანია".

კასპი-ახალქალაქი-ნოსტე-მთიულთუბნის ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე

კასპი-ახალქალაქი-ნოსტე-მთიულთუბნის ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე ასფალტის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს. გზის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს "იბოლია", საქართველოს გზების დეპარტამენტის დაკვეთით ასრულებს. სამუშაოების ღირებულება 3 425 000 ლარია, ხოლო გზის სიგრძე 5 700 გრძივი მეტრი.

გზის მოასფალტება 2016 წლის თებერვალში დასრულდება. სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობაცაა დასაქმებული. როგორც სოფლის მაცხოვრებლები აღნიშნავენ - ასეთ გზას არ ელოდნენ, მოხრეშვას ითხოვდნენ. ისინი მადლიერებას გამოთქვამენ საქართველოს და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ რადგან გზის პრობლემის მოგვარება სოფელში უმნიშვნელოვანესი და ძალიან საშური საქმეა.

ხორციელდება გზის კეთილმოწყობა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა სოფლების ოკამი-ლამისყანათეზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სამუშაოები დაათვალიერა.

შპს სამშენებლო კომპანია "ბლექსი გრუპ"-მა ასფალტის დაგების სამუშაოები დაიწყო. გზაზე სხვადასხვა სახის მძლავრი ტექნიკაა მობილიზებული და სამუშაოებიც ტემპში მიმდინარეობს. პროექტი გასულ წელს დაიწყო და ავტობანიდან, სოფელ ოკამის მისასვლელი და შიდა სასოფლო გზა მოასფალტდა. წელს სამუშაოების მეორე ეტაპი გაგრძელდა და სოფელ თეზის გზის კეთილმოწყობა ხორციელდება. გზის სიგრძე 2600 გრძივი მეტრია და სოფელ თეზის საავტომობილო გზის ასფალტ - ბეტონის საფარის დაგებას და კიუვეტების მოწყობას ითვალისწინებს. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მალე კეთილმოწყობილი, მოასფალტებული გზით ისარგებლებს, მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილია.

სასმელი წყლის მაგისტრალის ამოსაცვლელი თანხა გამოყოფილია

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, სამთავისის სასმელი წყლის სათავე ნაგებობიდან, ქალაქ კასპის ცენტრალური წყალსადენის მაგისტრალის მილის ამოცვლის სამუშაოები დაათვალიერა. აღნიშნული მაგისტრალის ამოცვლის დაჩქარება განაპირობა იგოეთი - კასპი - ახალქალაქის შიდა სახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მომავალში უკვე მოასფალტებული გზის გათხრითი სამუშაოების თავიდან ასაცილებლად, საკითხი თანხის მოთხოვნის შესახებ, საქართველოს მთავრობის წინაშე დააყენა, საქართველოს მთავრობამ სასმელი წყლის მაგისტრალის ამოსაცვლელად 1 900 000 ლარი გამოყო, შედგა ელექტრონული ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ შპს "საქჰიდროენერგომშენმა" სამუშაოებიც დაიწყო. წყალსადენის მაგისტრალის მილის ამოცვლის სამუშაოები სამ თვეში დასრულდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საზეიმო მარათონის მონაწილე დიდები და პატარები

გასული საუკუნის დასაწყისში /1925 01. 06/ ჟენევაში გამართულ ბავშვთა კეთილდღეობის მსოფლიო კონფერენციაზე პირველი ივნისი ოფიციალურად გამოცხადდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ. მას შემდეგ მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში საზეიმოდ აღინიშნება ეს დღე. იმართება სანახაობრივი ღონისძიებები, საზეიმო კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები, თეატრალიზებული წარმოდგენები და პატარებთან ერთად საზეიმო მარათონში სიამოვნებით მონაწილეობენ მშობლები, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად აქტიურობენ მუსიკოს-შემსრულებლები, მოცეკვავეები, თეატრალები...

პატარების გულის გასახარად მრავალფეროვანი, სანახაობრივი გასართობი ღონისძიება გაიმართა კასპში. მწველი, შემაწუხებელი მზის მიუხედავად ქალაქის ცენტრში, ახალ ბაღთან გამოეფინა დიდი თუ პატარა, ბავშვები და არა მხოლოდ ისინი, საზეიმოდ მორთულ სკვერში, მუსიკის ფონზე ინტერესით ათვალიერებდნენ იქ მოწყობილ ნახატებისა და თექის გამოფენას.

– დიდი ხნის ტრადიცია არც წელს დაგვირღვევია, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, – დაიგეგმა მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა და სპორტული სანახაობა, რომლის მთავარი მონაწილენი ბავშვები და საჯარო სკოლების მოსწავლეები იყვნენ.

დღესასწაულზე პატარების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დედაქალაქიდან სპეციალურად მოწვეული ზღაპრის გმირების (მიკიმაუსი, მეკობრე, კლოუნი, მასხარა) გამოჩენამ. ზეიმის მონაწილე პატარები საყვარელ გმირებთან თავს კომფორტულად გრძნობდნენ, უფრო მეტიც, მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ, ხალისობდნენ... საკონცერტო ნომრებს ერწყმოდა სპორტული სანახაობები. კროსზე გამარჯვებულ მოსწავლეებს: გიორგი წიკლაურს, მიხეილ სპარსალაშვილს, რევაზ მაჭარაშვილს ფასიანი საჩუქრები გადასცა სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა. მაყურებელი ოვაციებით შეხვდა კარატისტების /კლუბ "ხვადის" მწვრთნელი დავით დალაქიშვილი/ საჩვენებელ ორთაბრძოლებს, სკვერში მიმდინარეობდა შეჯიბრი ჭადრაკში /მწვრთნელი ზაზა გორგაძე/.

გამოფენილი იყო თექის (თეა ქუტაშვილი) ნამუშევრები, ასფალტზე ხატავდნენ სახელოვნებო სკოლის ხატვის წრის მოსწავლეები. პარალელურად, მეორე საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კალათბურთელი მოსწავლეები, ჩემპიონის ტიტული ერგო შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიას /სპორტის მასწავლებელი გოდერძი მარიდაშვილი/, მეორე ადგილზე გავიდა მეორე საჯარო სკოლა / სპორტის მასწავლებელი მიხეილ მაკეიჩევი /, ხოლო მესამე ადგილი შეხვდა ახალქალაქის საჯარო სკოლას / სპორტის მასწავლებელი ტარიელ ამირეზაშვილი/. აპლოდისმენტებით ხვდებოდა მაყურებელი პატარა მომღერლებისა და შემსრულებლების გამოსვლებს, მონაწილეობდნენ ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები.

წარმატებული იყო მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული ბავშვთა თეატრალიზებული ჯგუფის (ხელმძღვანელი ლუიზა ტატიაშვილი) გამოსვლა, რომელმაც მაყურებელს წარუდგინა ნაწყვეტი პიესიდან "სალამურას თავგადასავალი," მაყურებლის წინაშე თავი მოიწონეს აგრეთვე, ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებულმა თოჯინების თეატრის (რეჟისორი გიორგი ხასიშვილი) მსახიობებმაც. როგორც ყოველთვის, წარმატებულად გამოვიდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები: "დიდგორი," "რკონი," "სხვილო," "იმედი," კონცერტი გაალამაზეს კულტურის ცენტრთან არსებულმა საესტრადო სიმღერების /ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/ მომღერლებმა; თეა ბეჟიტაშვილის მიერ შესრულებულ პოპულარულ სიმღერას " თუ, თუ, თუ" გამორჩეული ხალისით შეხვდნენ პატარები.

ზეიმზე მოსულ მაყურებელსა და კონცერტის მონაწილე ბავშვებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მშობლებს მხარდაჭერისა და ბავშვებზე ზრუნვისათვის.

დღის ბოლომდე ისმოდა ხალისიანი, ნაცნობი მელოდიები, თითქოს ყველას გადაავიწყდა საკუთარი საფიქრალი, პრობლემები... სკვერში მოწყობილ საქანელებზე ერთობოდნენ სადღესასწაულოდ გამოპრანჭული გოგო-ბიჭები.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ანსამბლ „სხვილოს„ წარმატება

მაისის ბოლოს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა დუშეთის რაიონის სოფელ ჟინვალში ჩაატარა ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტ-ფესტივალი "ბრავო, ომარ!" რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ხელოვანის, საუკუნის ლეგენდარული მოცეკვავის ომარ მხეიძის შემოქმედებას, პარალელურად მოეწყო დათვალიერება-ფესტივალი "კიდევაც დაიზრდებიან!" ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით ღონისძიებაზე მიწვეული იყო ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "სხვილო." ფესტივალზე გამოსულ ქორეოგრაფიულ კოლექტივებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანსამბლი "სხვილო," რომლის მოცეკვავეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ღირსეულად წარმოეჩინათ ჩვენი მუნიციპალიტეტი. ანსამბლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და შესაბამისად მოცეკვავეები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელს ნინო პავლიაშვილს გადაეცა პრიზი და დიპლომი "აქტიური მონაწილეობისათვის".

– ამ პრესტიჟულ ფესტივალში მონაწილეობა ჩვენი ანსამბლისათვის დიდი პატივი იყო, – აცხადებს ნინო პავლიაშვილი, – თანაც ამ წარმატების მოპოვებაში ძალიან დაგვეხმარა კასპის მუნიციპალიტეტი და კულტურის სამსახური, რომ არა მათი თანადგომა და ხელშეწყობა, ალბათ, ვერ შევძლებდით დუშეთში გამგზავრებას. ხელმძღვანელობისაგან გამოხატულმა ყურადღებამ, მხარდაჭერამ შესაშური ენთუზიაზმი და ძალა შესძინა ანსამბლს, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით ემზადება შემდგომი ფესტივალისათვის.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ახალქალაქის კულტურის სახლში

სოფელ ახალქალაქის კულტურის სახლში ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. კულტურის სახლის თვითმოქმედ წრეებში გაერთიანებულმა ბავშვებმა საკუთარი შემოქმედება ცეკვით, სიმღერით, მხატვრული კითხვით წარმოადგინეს. კულტურის სახლი 5 თვეა, რაც ახალ შენობაში გადავიდა, სადაც სამუშაო ოთახები და რაც მთავარია დარბაზიც გააჩნიათ.

კულტურის სახლის დირექტორმა მერი დავითაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს მადლობა გადაუხადა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს არის საშუალება, კიდევ მეტი მხატვრული და შემეცნებითი წრის ამოქმედება შევძლოთ და მეტ ბავშვს მივცეთ საშუალება წარმოაჩინოს მასში არსებული ნიჭი.

საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ

*დასასრული. დასაწყისი იხ "ახალი განთიადი" №9. 2015 წელი.

მე-18 საუკუნეში, როცა საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ვახუშტის ცნობით, დვალეთი "მეფეთა ქართველთა... მისცემდნენ დღემდე ხარკსა". ეს ხეობა, რომელსაც შემდეგ არდონის ქვაბ-ხეობას უწოდებდნენ, მეტად შეუვალი იყო. მას საქართველოსკენ თერთმეტი გადმოსასვლელი, ხოლო ჩრდილოეთით მხოლოდ ერთი უღელტეხილი აკავშირებდა, სადაც გაკეთებული ყოფილა "კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი". ეს კარიბჭე საქართველოს "მეფეთაგან ქმნული ყოფილა", რომ "არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი". დვალეთის მცხოვრებნი ქრისტიანნი, "სამწყსონი ნიქოზლისანი ყოფილან". როქის ხეობაში მრავლად იყო ციხეები და ქართულ წარწერიანი ეკლესიები – საქართველოს მეფეთაგან ნაშენი. მემატიანის ცნობით ამ ძეგლების შესახებ "უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან აგებულადო".

მე-19 საუკუნეში დვალეთი თბილისის გუბერნიაში – მთიულეთის ოლქში შედიოდა. რუსეთის მდგომარეობამ დვალეთი საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა. ეს ივანე ჯავახიშვილს მიუღებლად მიაჩნდა. იგი თვლიდა, რომ "უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილი იქნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა გასწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს".

დვალეთის აღმოსავლეთით საზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ ქედზე მიდის. მხოლოდ დარიალის ხეობასთან გადადის ქედს იქით და ჩრდილოეთით არის აწეული. ამ ხეობაში მდგარა დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული ციხე, რომლის ჩრდილოეთითაც აგებული ყოფილა მირვან მეფის მიერ დარიალის კარი, რათა ხაზარები და ოსები ვერ გადმოსულიყვნენ საქართველოში. უფრო ჩრდილოეთით ყოფილა ქართველთა სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი "ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან". შემდეგ საზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილს მისდევდა.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში ჰერეთი მდებარეობდა. აქ მდებარეობდა საინგილო, რომელსაც დაღესტნის მთები ესაზღვრება. ივანე ჯავახიშვილს განსაკუთრებული სიზუსტით აქვს აღწერილი ეს საზღვარი. ამ კუთხიდან ავრცელებდა



საქართველო თავის კულტურასა და სარწმუნოებას დაღესტანსა და შაქზე. იქ იდგა ძეგლები ქართული ასომთავრული წარწერებით. ჰერეთი განსაკუთრებით დაზიანდა მონღოლთა და შემდეგ შაჰაბასის შემოსევების შედეგად. ადგილობრივი მოსახლეობა ირანში გადაასახლეს, მათ მაგიერ მაჰმადიანი ტომები ჩამოასახლეს. ძველი ტოპონიმების ნაცვლად გაჩნდა ახალი სახელები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, "ერეკლე მეფის დროს, 1783 წელს, ხელშეკრულების დადების დროსაც, ეს კუთხე რუსეთის ელჩის ბურნაშევის რუკაზეც საქართველოს საზღვრებში შედიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა".

ჰერეთის სამხრეთის ნაწილის, კამბეჩოვანის ანუ ქიზიყის საზღვრები მდინარეთა ზოლით იყო შემოფარგლული. შემდეგ საზღვარი გადადიოდა ქვემო ქართლში, სადაც ჯერ მტკვარს მისდევდა, შემდეგ ქედს, რომელიც მდინარე დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს, მაგრამ აქ საზღვარი წარსულში გაცილებით შორს მიდიოდა. განჯის, ერევნის, ყაზახის, შამშადილისა და შამქორის ხანები საქართველოს მოხარკეები იყვნენ, ომიანობის დროს მათგან 6 000 ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი მოსდიოდა ქართველ მეფეს, ამიტომაც ეს სახანოები საქართველოს შემადგენლობაში იყო მოქცეული.

ქვემო ქართლის სამხრეთის ხაზი, ძველი დროიდანვე ქართველთა და სომეხთა სამფლობელოების გამყოფი საზღვარი იყო. ხშირი შემოსევების გამო არაერთხელ დაცლილა ეს კუთხე. შაჰ-აბასმა ბორჩალოს ტომი ჩამოასახლა. მტრისგან შევიწროვებული სომხებიც საქართველოს ეხიზნებოდნენ. ისინი სახლდებოდნენ ლორეში, ტაშირში. ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით გად-

მოგვცემს იმ მოძალეობის შესახებ, რომელსაც სომხები ძველთაგანვე იჩენდნენ ქვემო ქართლის მიმართ, ხან დაპყრობის, ხან ხრიკების გამოყენებით. მოგვიანებით რუსეთის დახმარებით ცდილობდნენ თავისი გავლენის გავრცელებას. მათ შეძლეს ქართველების გვერდით სომხების ჩამოსახლება. აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურის კერებიც შექმნეს. მიუხედავად ამისა, ეს მიწა ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა. მისი საზღვარი სომხეთთან ერევნის ანუ ბამბაკის მთებზე გადადიოდა, რასაც 1743 წლის ქართულ-რუსული რუკაც ადასტურებს. მხოლოდ 1827 წლიდან დასახლდა ქვემო ქართლში მჭიდროდ სომეხი მოსახლეობა, რუსეთის ნებართვით და ხელის შეწყობით, მაგრამ, რუსეთის პოლიტიკური გეგმის მიუხედავად, სომხები მცხოვრებთა შორის აბსოლუტურ უმრავლესობას მაინც არ შეადგენდნენ.

ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ ქვემო ქართლი და, მათ შორის, ბორჩალოს მაზრა რეალური მფლობელობითაც და პოლიტიკურადაც საქართველოს "აუცილებელი კუთვნილება იყო... "როდესაც რუსეთის მთავრობა ამ ქვემო ქართლში სომხებს დასახლების ნებას აძლევდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების მოვლენა ყოფილიყო და თვით საქართველო და ქართველობა ამ გარემოებას ვერსა გზით მიწა-წყლის სახელმწიფოებრივი საზღვრების შემცვლელ გარემოებად ვერ ჩასთვლის". ქვემო ქართლის შემდეგ საზღვარი დასავლეთით გრძელდებოდა და ზემო ქართლის, ანუ მესხეთის სამხრეთით გადიოდა. ამ მიწებზე უძველესი დროიდან ქართული ტომები სახლობდნენ. მე-6 საუკუნის შემდეგ ომიანობის და მძვინვარე ჟამის შედეგად სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთსა და ტაოში მოსახლეობა ამოწყდა და მთელი ის მიდამო უდაბური ტყით შეიმოსა. მხოლოდ მე-11 საუკუნეში შემოვიდა აქ შიდა ქართლიდან მოსახლეობა და ეს ადგილები ქართული საეკლესიო და საქალაქო კულტურის ასპარეზად იქცა, მაგრამ თურქეთმა გაავრცელა გავლენა ამ მხარეში და მოსახლეობა მთლიანად გაამაჰმადიანა. რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად ეს ტერიტორია შემოერთებული იქნა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: ამ პროცესს ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის აყრა და თურქეთში გადასახლება მოჰყვა. მათ ადგილას კი რუსეთმა თურქეთიდან გამოქცეული 30 000 სომეხი ლტოლვილი ჩაასახლა. თუ წინათ იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, 1832 წლიდან უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ. რუსეთის მთავრობა სომხებს ძალიან ეხმარებოდა: შექმნეს საახალშენო კომიტეტი, ეხმარებოდნენ ფულით, ექვსი წლით გადასახადებიდანაც ათავისუფლებდნენ. მალე სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ლტოლვილებად მოვიდნენ საქართველოს მიწაზე და ახალქალაქის მაზრა სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს, მოითხოვეს, რომ ეს ტერიტორია გამოჰყოფოდა თბილისის გუბერნიას და სომხეთს შეერთებოდა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელეს. ივანე ჯავახიშვილი მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ სომხობა ჯავახეთში თავშესაფრად მოვიდა და დრო იყო, ისინი ისევ მამა-პაპათა კერას დაბრუნებოდნენ, ოსმალეთიდან კი აქ დაბრუნდებოდნენ ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. აი, ამ შემთხვევაში იქნებოდა სამართლიანობა აღდგენილი.

ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის უძვირფასესი ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის "საქართველოს საზღვრები" საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათეული წლების მანძილზე აკრძალული იყო. გთავაზობთ დისკუსიის ნაწყვეტს, რომელიც 1936 წელს ჩატარდა და რომლის სტენოგრაფიული ჩანაწერიც დ. ცინცაძემ გამოაქვეყნა: "მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფესორი ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს მენშევიკური დამოუკიდებლობისათვის ყოველივე... ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათი განთავისუფლებისათვის ექსპლუატატორებისაგან. პროფ. ჯავახიშვილმა ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტისტალინური დებულებებით გაჟღენთილი შრომები მოგვცა..." ამის შემდეგ, საოცარი ის არის, თუ როგორ გადაურჩა დიდი მეცნიერი რეპრესიებს. რა თქმა უნდა, ხელისუფლება აკრძალავდა ღრმა მეცნიერული კვლევით შესრულებულ, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალულ ნაშრომს, რადგან იგი ამხეურებდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფას საბჭოთა რუსეთის მიერ; 1921 წლისათვის საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 90 000 კვ. კმ-ს, ანექსიის შემდეგ კი 69 000 კვ კმ-ია. 21 000 კვ. კმ. ქართული მიწისა გაასხვისა რუსეთმა, არად მიიჩნია რა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ნაწილი: ოდითგანვე საქართველოს ძირძველი ტერიტორიები – სოჭი, ართვინის, ფიცხოვის, არტაანის, ოლთისის, ბორჩალოს, ზაქათალის ქართული მიწები მეზობელი ქვეყნების საზღვრებშია მოქცეული.

"საქართველოს საზღვრების" პარალელურად ივანე ჯავახიშვილმა შექმნა "საქართველოს საზღვრების რუკა", რომელიც სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებაში დაიბეჭდა. შეიქმნა აგრეთვე ამ რუკის ფრანგული ვარიანტი, რომელიც 1919 წელს საქართველოს დელეგაციამ წაიღო პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა რუკა "საქართველო მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში", რომელიც დიდ ფორმატზეა (3მX3მ) შესრულებული ხელით. მხატვარი ყოფილა გაბაშვილი. ეს რუკა გამოფენილი იყო სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში, შემდეგ დაცული იყო ფონდში. 1996 წელს რუკა გადაეცა სოფ. ხოვლის ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმს.

ივანე ჯავახიშვილის რუკები და მონოგრაფია "საქართველოს საზღვრები" საქართველოს ისტორიის უტყუარი დოკუმენტია და მათ სამომავლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლალი თათრიშვილი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე.

ძვირფასო მკითხველო!
რუბრიკა -
- **"წელიწადის მეხუთე დრო"**
ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.

ღია გაკვეთილი ოკმის ბაღში

ბევრი ინატრებდა, ალბათ, ასწლოვანი ნარგავების პაწაწინა ტყეპარკში მოქცეულ ოკმისნაირ საბავშვო ბაღს, თანაც ეს ძველისძველი შენობა სულ ახლახან საგულდაგულოდ გაურემონტებიათ, გაულამაზებიათ, გემოვნებით, კომფორტულად მოუწყვიათ მისი სამზარეულო, საძინებლები, მისაღები ოთახი. ერთი სიტყვით, ბავშვებისათვის ყველა პირობაა შექმნილი...

– უმძიმესი წლებიც გადავიტანეთ, მინიმუმამდე იყო დასული ბავშვთა ნაკადი, – იხსენებს ბაღის გამგე მეგი ჩიტიშვილი, – კონტინგენტს ვინ ჩიოდა, იმ თითოოროლა აღსაზრდელის გამოკვება და შენახვაც კი ჭირდა, მაგრამ ხომ ხედავთ, დღეს რადიკალურად გაუმჯობესდა ვითარება, იმედი მოგვეცა.

არადა, მას შემდეგ, რაც ბაღი უფასო გახდა და ხელშეწყობაც გაიზარდა, ეს ბავშვთა ნაკადზეც აისახა. მართალია, დღეის მდგომარეობით დიდკონტინგენტიანი არ არის ოკამის ბაღი /სულ 27 აღსაზრდელი /, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს ბავშვთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო მერხს მიუჯდება ბაღის ექვსი კურსდამთავრებული, ესენი არიან: ლაშა და ნინი თათარაშვილები, ლუკა გიგაური, ელენე ჩარექაშვილი, გოჩა ილურიძე, ლიკა შამანაური, რომლებმაც ახლახან ბაღში ჩატარებულ ღია გაკვეთილზე (თემა "ჩვენი ფერმა") ნათლად დაამტკიცეს მზადყოფნა, კარგი მომზადება, მარტო სასკოლო ბავშვებმა კი არა, მთელმა ჯგუფმა გამოავლინა აქტიურობა.

– თავად ღია გაკვეთილის თემას, სადაც გამოყენებული იყო აქტივობები: წიგნიერება, მათემატიკა, მუსიკა, ხატვა, ფიზკულტურაც კი, ბავშვებმა სულ ადვილად

გაართვეს თავი, – აცხადებს ბაღის აღმზრდელი ირმა გოგიშვილი, – ჩვენი მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო, თემის განხილვის პროცესში ბავშვების შესაძლებლობების გამოვლენა. ღია გაკვეთილს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი და გაერთიანების სპეციალისტები.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ჩვენი სამშობლო

ახალქალაქის №2 საბავშვო ბაღის შერეული ჯგუფის ბავშვების ღია გაკვეთილმა სახელწოდებით "ჩვენი სამშობლო" განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან ეს მუსიკალურ-ლიტერატურულ წარმოდგენას უფრო წაგავდა, მაგრამ გაკვეთილის თემა ისე საინტერესოდ იყო შერჩეული, რომ თემის განხილვის პროცესში გამოყენებულმა აქტივობამ ბავშვებს ერთგვარი "კომფორტი" შეუქმნა იმისათვის, რომ სრულად გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობანი.

ლიტერატურული კომპოზიცია "ჩემი სამშობლო" დაიწყო მისალმებით, შემდეგ იყო გუნდური პასუხები მასწავლებლის (ლიანა მამასახლისი) დასმულ შეკითხვებზე: რა ჰქვია ჩვენს სამშობლოს? ვინ დააარსა თბილისი? ვინ დაწერა დედა ენა? რამდენი ასო ბგერაა ქართულში? და სხვა. პატარა აღსაზრდელები: გიორგი ასლამაზიშვილი, ვასო გერმისაშვილი, ლალი დავითაშვილი, ზურაბ ზალინაშვილი, ნიკა მალაციძე, ანანო მჭედლიშვილი, მარიამ ნავროზაშვილი, გიორგი ნუგზარიშვილი, ელდარ ნორზალოვი, რამაზ საფაროვი, დიანა ფირიევი, რომლებიც წელს ემშვიდობებიან მშობლიურ საბავშვო ბაღს და ახალ სასწავლო წელს სასკოლო მერხებს მიუსხდებიან, ისე გამართულად და უშეცდომოდ პასუხობდნენ, რომ სკოლის მოსწავლეებსაც კი შეშურდებოდათ.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო ღია გაკვეთილის ბოლო აქტივობა ვითამაშოთ "სიტყვობანა". მასწავლებელმა ბავშვებს დაურიგა წინასწარ შედგენილი ასობგერებიანი ბარათები, დავალების თანახმად მათ ძალიან სწრაფად დაასახელეს შესატყვისი სიტყვა, თან დამარცვლეს და უშეცდომოდ დაასახელეს, თუ რამდენ მარცვლიანი იყო დასახელებული სიტყვა.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნახატების გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, კასპის სამუსიკო სკოლასთან არსებული ხატვის კლასის მეოთხე (დამამთავრებელი) კურსის მოსწავლეთა ნამუშევრები.

მოსწავლეების ნამუშევრები შესრულებულია ფანქარით, გუაშით, აკვარელით. სამუსიკო სკოლასთან არსებული ხატვის კლასის მეოთხე კურსის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა დაათვალიერა.

ინტეგრირებული სწავლებისათვის

ლამისყანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - პირველი ივნისი საზეიმოდ აღნიშნეს, საქმე ის გახლავთ, რომ მუსიკის მასწავლებელმა მარინე გიკაშვილმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საინტერესო თეატრალიზებული წარმოდგენა შესთავაზა მშობლებსა და მოსწავლეებს, მოწვეულ სტუმრებს...

მაყურებელმა ინტერესით უყურა სკოლის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლს "რაც გინახავს ვეღარ ნახავ." მონაწილეობდნენ მოსწავლეები: სალომე და ნუგზარ რუსიტაშვილები, ბექა აღაჯანაშვილი, მარიამ ჭიხინაშვილი, ნიკა ილურიძე,

თამთა და გვანცა ქოთოლაშვილები, ავთანდილ ბეინაშვილი, გიორგი და თორნიკე თვაურები, კობა ნაცვლიშვილი, ვალერი გიგაური, ნინო ბეინაშვილი, მანანა ხინჩაგაშვილი, ნათია ზარიძე, გიორგი თვაური, გიორგი ცერცვაძე. სკოლის შემოქმედებითი ჯგუფი სისტემატურად მართავს მსგავსი ხასიათის კულტურულ ღონისძიებებს.

– ამ ღონისძიებების მიზანი გახლავთ მოსწავლეების ჩაბმა შემოქმედებით საქმიანობაში, რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებში შემოქმედებითი საწყისებისა და ინტერესის გაღვივება, ეს კი ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ინტეგრირებულ სწავლებას, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევების განვითარებას, – აცხადებს ლამისყანის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი მარინე გიკაშვილი.

სპექტაკლზე მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ მშობლები, ლამისყანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები და სოფლის აქტივის წარმომადგენლები, კმაყოფილებასა და ოვაციებს ვერ ფარავდნენ, ტაშითა და შეძახილებით ამხნევებდნენ პატარა მსახიობებს. სპექტაკლის ბოლოს შეკრებილ საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებსა და მოსწავლეებს მიესალმა სკოლის დირექტორი ქალბატონი დარეჯან ჭიხინაშვილი და მადლობა გადაუხადა ბავშვებს აქტიურობისათვის. სკოლაში ჩატარებული კულტურული ღონისძიება ჩაწერილია ვიდეო-ფირზე /ოპერატორი გიორგი ბიძინაშვილი /, რომელსაც ბავშვები, პედაგოგები და მშობლები სხვა დროსაც ნახავენ.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე

გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა და შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა, დასუფთავების ერთობლივი აქცია ჩაატარეს.

დასუფთავდა 13 მაღალსართულიანი კორპუსის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. აქციას მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა - "ორქისი," რომელმაც აქციის მონაწილეებს საჭირო ინვენტარი გადასცა.

აქციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო შპს "კასპის კეთილმოწყობამ."

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქისს" მადლობა გადაუხადა ქალაქზე მზრუნველობისათვის.

მკითხველს შეუძლია მოგვწიდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული. დინჯად ესენებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, ხვაყაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

,,ახალი განთიადი,, იძლევა საინფორმაციო ბიულეტენის რუბრიკის გაგებით ოფიციალურად შეგაჯერებლად. თხოვნით მივმართავთ თანამრავლებს - ლაღოვით თქვენი ყველა ჩვენს მეცნიერში! გამოგვიგზავნეთ საინფორმაციო ლა ცხალიანი ოფიციები!

გახლით ჩვენი მკითხველი!

ისტორიული ფაქტების კვალდაკვალ

როგორც სკოლის სახელმძღვანელოებსა თუ ისტორიულ ნარკვევებში წაგვიკითხავს: 1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები, მმართველობის ორგანოებში რუსული ენა დამკვიდრდა, განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს, ამიტომაც საზოგადო მოღვაწეები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. XIX საუკუნეში თერგდალეულებმა შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა.

საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. საქართველოს ამ დროისათვის თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის მართვა უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია

რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა საჩუქარი მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა.

საქართველო არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეგუებოდა ვითარებას. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახვა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

1918 წლის 26 მაისს მიღებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო: "მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევი-

წროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო, საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს".

ეროვნული საბჭოს დადგენილებით, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია.

უამრავი ისტორიული მასალის წაკითხვისა თუ გახსენების მიუხედავად, რამდენჯერაც არ უნდა დაუბრუნდე საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიას ხვდები, რომ ამ ზღვა მასალაში გასარკვევად ყველაფერთან ერთად გჭირდება სულ უფრო მეტი ინფორმაციის მოძიება და ქრონოლოგიურად დალაგება.

მაშინდელ სინამდვილეში არსებული ან პარალელურად განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, გააზრებით ალბათ მრავალ მტკივნეულ კითხვაზე შეგვიძლია პასუხის მოძიება. ასე, რომ ქვეყნის თუნდაც უახლოესი წარსულის აღდგენა ურთულესი საქმე გახლავთ, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

26 მაისს კასპის კულტურის ცენტრში რესპუბლიკური პარტიის კასპის ორგანიზაციამ (თავმჯდომარე ხათუნა თათანაშვილი) ჩაატარა ღონისძიება მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი.

სცენაზე ქრონოლოგიურად აღდგა საქართველოს ბოლო ათასწლეული. გაიხსენეს ილია ჭავჭავაძე, იუნკრები, რეპრესირებული ინტელიგენცია, ნაზი შამანაური 1977 წ. – დედა ენა, თვითმფრინავის ბიჭები, 9 აპრილი.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ხათუნა თათანაშვილი, ხათუნა ბაიაძე, მამუკა პაპაშვილი, ილია ბერიანიძე, აკაკი სამნიაშვილი; მონაწილენი: ანი ოთარაშვილი, მარი ფსუტური, ხატია ჯალალი, ელენე ბიტიაშვილი, ზაზა გეჯაძე, დარინა ჯანანაშვილი, მარი ბაინდურაშვილი, ნოდარ ქურთაული, ტარიელ მიდელაშვილი, მანონი ირემაძე, ბელა კაძილაშვილი, სალომე ყრუაშვილი, მანანა მჭედლიშვილი, გვანცა გერმისაშვილი, ნინი მარქარაშვილი, თამუნა ბიქოშვილი, გიორგი გრაკლიშვილი, ნამცო ჩქარეული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი და თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ბაია რომელაშვილი, მოადგილე გიორგი ჭაღიაშვილი და რესპუბლიკური პარტიის სარევიზიო კომისიის წევრი ნანა ბუნტური.

სიმართლის წილ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალა სასურველია ამ სახით იხილონ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. სამშობლოს ისტორიის ურთულესი და საკვანძო მომენტების ხშირი გახსენება ხელს შეუწყობს პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბება-გაძლიერებას. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნის შვილებისათვის.

ზაფხულის არდადეგები დაიწყო! ვრეკლიეგები დაიწყო! ვაშაsss!

ზაფხულის არდადეგები დაიწყო! დარწმუნებული ვარ, ძალიან გაგეხარდა. რამდენი საინტერესო რამის კეთება შეიძლება ზაფხულში. მერე რა, რომ ცხელა, სამაგიეროდ, მშობლები ოფიციალურად გრთავენ ნებას ბევრი იწუწაო, ბევრი ნაყინი ჭამო, რაც მთავარია, მეცადინეობა აღარ გიწევს და უსაქმურობის სამი თვე გაქვს წინ. თუმცა, უსაქმურობაში მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ სკოლის დავალებების შესრულებას არ გთხოვენ. დარწმუნებული ვარ, ამ ზაფხულს საქმე და თავგადასავლები თავზესაყრელად გექნება. მთელი დღის განმავლობაში რამდენი თამაშობის მოგონება მოგიწევს, სირბილი, დამალვა და საიდუმლო ოპერაციების შესრულება. თამაშის მერე ათმაგად სასიამოვნოა ზაფხულის ხილის ჭამა. ალბათ, ძალიან გიყვარს მარწყვი, ალუჩა, ბალი, ალუბალი, საზამთრო და ნესვი.

ზაფხული ძალიან, ძალიან კარგი დროა იმისთვის, რომ ახალი ადამიანები გაიცნო, ბევრი ითამაშო მათთან და დაუმეგობრდე. კიდევ, შეგიძლია ნახო უამრავი ახალი ადგილი, გაისეირნო და გაინავარდო ბუნებაში, ჩაისუნთქო სუფთა ჰაერი და დატკბე ყვავილებით. ზაფხულში შეგიძლია დიდი ხნის მონატრებული ბებია და ბაბუა ნახო, ზამთრიდან შემორჩენილი მურაბით გასკდე და უამრავი ზღაპარი მოისმინო.



რაც მთავარია, ზაფხულში თამაში მთავარი არაა, ხანდახან საშინლად მოგინდება სიგრილეში წამოწვე და საინტერესო წიგნები გადაშალო. აი, მანდ მართლაც საოცარ რამეებს გადააწყდები. ამ დროს განსაკუთრებულად მაგარია სათავგადასავლო წიგნების კითხვა. შენც ხომ მოგზაურობის ხასიათზე ხარ და სურვილებსაც აისრულებ. აბა, შენ იცი, მოიმარაგე ჟიულ ვერნი, მაინ რიდი, ალექსანდრე დიუმა და სხვები. მეც შემდეგ ნომრებში მოგიყვები მათ შესახებ. იცოდე, კითხულობ და თან სიმაღლეში იზრდები.

დამიჯერე, ზაფხულის სამი თვე საკმარისია იმისთვის, რომ სკოლაში წასვლა საშინლად მოგინდეს, ერთი სული გექნება, სწავლა როდის დაიწყება. შეიძლება საკლასო ოთახის სუნიც კი მოგენატროს. ჰოდა, ბედნიერი, გარუჯული, გაზრდილი და უამრავ თავგადასავალგადახდენილი დაბრუნდები სკოლაში და დაელოდები შემდეგ ზაფხულს.

რამდენ კილოგრამს იწონის ცა?

გადავწყვიტე კიდევ ერთხელ დაგისვა შეკითხვები, რომლებზეც შენ თვითონ ეცდები პასუხების გაცემას. ზოგიერთ მათგანზე, ალბათ, თვალის დახამხამებაში უპასუხებ, ზოგიერთზე კი, ალბათ, დიდხანს მოგიწევს ფიქრი. ყურადღებით წაიკითხე ეს შეკითხვები, შემდეგ წარმოიდგინე მოცემული სიტუაცია, გამოიყენე ის ცოდნა, რომელიც გაქვს, ან საჭირო წიგნები მოძებნე და იქ ჩაიჭყიტე. და თუ ეს ყველაფერი საკმარისი არაა, მაშინ შენს არაჩვეულებრივ გამომგონებლობის უნარს მოუხმე. თუ პასუხს იპოვნი, მაგრამ ეჭვი შეგეპარება, ერთი წესი ძალაში რჩება, შეგიძლია გაიქცე დედიკოსთან ან მამიკოსთან და ჰკითხო. ოღონდ, თუ დაღლილია, ნუ შეაწუხებ და ისევ ეცადე თავად მოიფიქრო პასუხი. მაშ ასე, ვიწყებთ თამაშს:

1. რატომ არ იხოცებიან თევზები მაშინ, როცა ზღვაში მეხი ეცემა, ან დიდი ელვა მოძრაობს წყლის ზედაპირთან ახლოს?
2. რამდენ კილოგრამს იწონის ცა?
3. რატომ არ არტყამთ დენი ჩიტებს მაშინ, როცა დენის მავთულზე სხდებიან?
4. რა არის დრო და შეგიძლია თუ არა დაშალო იგი ნაწილებად?
5. რატომ ჩანს ხოლმე მთვარე ღამითაც და ხანდახან დღისითაც?
6. რატომ არის წყალი სველი?
7. რატომ ჰყავს ჩემს საუკეთესო მეგობარს ორი მამა?
8. რამდენად სწრაფად შეუძლიათ ადამიანებს სირბილი?
9. რატომ აქვს კენგურუს ჩანთა?

დარწმუნებული ვარ, ყველა კითხვას არაჩვეულებრივად უპასუხე. შეგიძლია საკუთარი პასუხები გამოუგზავნო რედაქციას და ისინი აუცილებლად დაიბეჭდება. ეს იმიტომ, რომ სხვა ბავშვებმაც მოისმინონ შენი აზრები იმ შეკითხვების თაობაზე, რომელთაც თვითონ ვერ უპასუხეს. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი სწორი იყოს. წარმატებებს გისურვებ!

ველოდებით პასუხებს.

კეხურა

ვიმეგობროთ ზაფხულშიც!

ბავშვობაში, ერთ გრძელ და მხურვალე ზაფხულში ყველაზე საინტერესო მოგზაურობაში წავედი. ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, როცა თაროზე ერთი სქელტანიანი წიგნი ვიპოვე. ყდაზე ახოვანი კაცი ეხატა, რკინის აბჯრითა და ფარხმალით, იდუმალი სახის ნაკვთებით. რატომღაც მივხვდი, უზარმაზარი ასოებით დაწერილი სათაური "აივენჰო" იმაზე მიანიშნებდა, რომ ეს უცნაური სიტყვა ამ ჭაბუკის სახელი უნდა ყოფილიყო. აი, ასე აღმოვაჩინე უოლტერ სკოტის რომანი და იმავე საღამოს გადავსახლდი შუა საუკუნეების ინგლისში.

ამ წიგნის პირველივე ფურცლებიდან რაინდების საიდუმლოებები და ინგლისელ დიდგვაროვანთა ყოველდღიურობა ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი გახდა. პირდაპირ თავით გადავეშვი უზარმაზარი ციხე-სიმაგრეების და მათში მცხოვრები მშვენიერი ქალების, რაინდების შეჯიბრებათა სამყაროში. თან, ძალიან მომწონდა ის, თუ როგორ აღწერდა სკოტი იმდროინდელი ინგლისის ამბებს. წარმოიდგინე, ეს სწორედ ის დროა, როცა ათასობით რაინდი მესამე ჯვაროსნული ლაშქრობიდან ბრუნდება სამშობლოში. ამასობაში კი ინგლისელების საყვარელი მეფე, რიჩარდ ლომგული საშინელმა ავსტრიელმა ჰერცოგმა ლეოპოლდმა ჩაიგდო ტყვედ. ცბიერი პრინცი ჯონი ამით სარგებლობს და ძალაუფლების მოპოვებას ცდილობს. აი, ამაზე კი ძალიან ვბრაზდებოდი და ერთი სული მქონდა მეფე რიჩარდი როდის გათავისუფლდებოდა ტყვეობიდან. შენ ალბათ იკითხავ, ვინაა აივენჰოო. ეს ყველაზე პირმშვენიერი, გამბედავი და თავდადებული რაინდია მათ შორის, ვისზეც კი ოდესმე წამიკითხავს. თუნდაც, წიგნში მისი პირველი გამოჩენა რად ღირს. რაინდების ტურნირზე ცხენს მოაგელვებს, ვერავინ ხედავს მუზარადში დამალულ მის სახეს და არავინ იცის, დიდგვაროვანთა რომელ შტოს ეკუთვნის. აივენჰო ამ ტურნირზე ყველა რაინდს ამარცხებს, და საერთოდაც, ცოტა თუ დაიკვეხნის მისნაირი საბრძოლო ხელოვნებით.



ახლა გეტყვი, კიდევ რატომ არის აივენჰო გამორჩეული. იგი არის რაინდი, რომელსაც მემკვიდრეობა არა აქვს, არც ციხესიმაგრეში ცხოვრობს. ეს იმიტომ, რომ მამამისმა სედრიკმა გარიყა. რაც მთავარია, აივენჰოს თავდავიწყებით უყვარს მზეთუნახავი ლედი როენა, რომელიც სედრიკის აღზრდილია. ამ რაინდს უამრავი ბრძოლის და უცნაური თავგადასავლის გამოვლა მოუწევს, რათა როენასთან ერთად იყოს. აივენჰო თვით რიჩარდ ლომგულსაც კი ეხმარება ტყვეობიდან გათავისუფლებაში, ინგლისში დაბრუნებისას კი მის გვერდით იბრძვის. კარგად მახსოვს, როგორ სულმოუთქმელად ვკითხულობდი ამ წიგნს და გვიან, საღამოობით მშობლები მეჩხუბებოდნენ, დაიძინეო. ძალიან რთულია ასეთ მაგარ წიგნს მოწყდე. თუ კითხვას შეწყვეტ და დაიძინებ, ალბათ, მხოლოდ იმ იმედით, რომ რაინდებით, ლორდებითა და გრძელკულულებიანი ასულებით სავსე შუასაუკუნეების ინგლისი დაგესიზმრება.

კეხურა /ც.ყ./

,,ახალი გაზეთი,, იძებნება ყველა ადგილზე ადგილობრივ ამბებს ასევე ფოტო-მასალის შეგროვებაში. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლაღოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ყველა ფოტოები!

სოფელ აღაიანში

სოფელ აღაიანში ქართული ჭიდაობის ტურნირი გაიმართა. ტურნირში კასპის და მცხეთის მუნიციპალიტეტების სოფლების ყველა ასაკის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული მოჭიდავეები მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. აბსოლუტურ (მძიმე) წონაში გათამაშებული ჯილდო - ტრადიციადქცეული ჭედილა კი ფინალში გასული ძმებიდან - ლაშა ზურაბიანმა დაისაკუთრა.ტურნირს მსაჯობდა შმაგი დვალიშვილი. ჭიდაობას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და შიდა ქართლის მხარეში, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი ქოთოლაშვილი.

საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში

22-23 და 24 მაისს ქალაქ მესტიაში ჩატარდა ლერი ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა კასპის რაიონის სპორტსმენებმაც მიიღეს.

I ადგილი - იოსებ იორდანაშვილი /მძიმე/,

II ადგილი - ვალერი მღებრიშვილი,

III ადგილი - ნუგზარ გელხაური.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და მედლებით დააჯილდოვეს.

ღია პირველობა

29 და 31 მაისს ქალაქ ამბროლაურში ჩატარდა რაჭის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ტურნირში კასპის რაიონის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ და საპრიზო ადგილი ედი ბულულაშვილს ერგო, მან მძიმე წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა (უფროსი მწვრთნელი თეიმურაზ გაბოძე).

პირადი პირველობის ფინალი

8-9 და 10 მაისს ქ. ჩხოროწყუში ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობის ფინალი მოზარდთა შორის ქართულ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა კასპის რაიონის სპორტსმენებმაც მიიღეს და გამარჯვება იოსებ იორდანაშვილმა მოიპოვა, მან მძიმე წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა.

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ბატონ უშანგი მოსიაშვილს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუდმივი გამოფენის მოწყობაში აღმოჩენილი უანგარო დახმარებისათვის.

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი.

ქვარიანის სახელობის ტურნირი

31 მაისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა კოტე ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა კასპის რაიონის სპორტსმენებმაც მიიღეს.

II ადგილი; გიორგი კაციაშვილი 80 კგ.

II ადგილი; გიორგი მირუაშვილი 55 კგ.

III ადგილი; დავით გეჯაძე 62 კგ.

მსოფლიო ჩემპიონატი კარატეში

1-2 და 3 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი კარატეში.

30 კილოგრამ წონით კატეგორიაში III ადგილი კასპელმა ტატო მიდელაშვილმა დაიკავა (მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი).

რესპუბლიკური ტურნირი

16 და 17 მაისს საგარეჯოში ჩატარდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ყოფილი საბჭოთა კავშირის 17-გზის ჩემპიონის არსენ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირში კასპელმა მოჭიდავეებმაც მიიღეს მონაწილეობა (მთავარი მწვრთნელი თეიმურაზ გაბოძე) და გამარჯვება მოიპოვეს.

III ადგილი - ედი ბულულაშვილი /76 კგ/,

III ადგილი - დანიელ მარქარაშვილი /63 კგ/,

III ადგილი - მევლუდ კაკიაშვილი /63 კგ/,

III ადგილი - ტარიელ მიდელაშვილი /46 კგ/.

რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

23 მაისს მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის არჩილ ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რაიონის სპორტსმენებმა. 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში სპეციალურად დაწესებული არჩილ ჩოხელის სახელობის პრიზი მეტეხელმა ზვიად ოდოშაშვილმა აიღო. II ადგილი გიგა ბერიაშვილმა დაიკავა, ხოლო III ადგილი ტრისტან ფეიქრიშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76